საექსპერტო შეფასება

ანგარიშზე „ქ. თბილისში, ნოდარ ბოხუას ქ. №10, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობისათვის გამოყოფილი მიწის ნაკვეთის (ს/კ 01.13.02.005.006) საინჟინრო გეოლოგიური პირობების გამოკვლევა“.

შ.პ.ს. „არქცენტრი“-ს ხელმძღვანელობის თხოვნით ჩვენს მიერ 2019 წლის 20 სექტემბერს შემოწმებული იქნა ქ. თბილისში, ნოდარ ბოხუას ქ. №10, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობისათვის გამოყოფილ მიწის ნაკვეთზე (ს/კ 01.13.02.005.006) ჩატარებული საინჟინრო გეოლოგიური სამუშაოების ტექნიკური დოკუმენტაცია.

შემოწმების მიზანი: დადგინდეს ქ. თბილისში, ნოდარ ბოხუას ქ. №10, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობისათვის გამოყოფილ მიწის ნაკვეთზე (ს/კ 01.13.02.005.006) ჩატარებული საინჟინრო გეოლოგიური სამუშაოების და მის საფუძველზე შედგენილი ტექნიკური დოკუმენტაციის შესაბამისობა საქართველოში მოქმედ სამშენებლო ნორმებთან, წესებთან და სახელმწიფო სტანდარტებთან.

საინჟინრო გეოლოგიური სამუშაოები შესრულებულია შ.პ.ს. „თბილინვესტპროექტი“-ს გეოლოგიური ჯგუფის მიერ 2019 წლის სექტემბერში. სამუშაოების უშუალო ხელმძღვანელი, ინჟინერ-გეოლოგი ი. ცხომელიძე. მათ გეოტექნიკურ ლაბორატორიაშია არის შესრულებული გრუნტის თვისებების გამოკვლევები.

საექსპერტოდ წარმოდგენილია:

1. ანგარიშის ტექსტური ნაწილი აკრეფილი კომპიუტერზე---------- 7 გვ.
2. ტექნიკური დავალება---------- 1 გვ.
3. ცხრილი გრუნტების თვისებებზე---------- 1 გვ.
4. მოედნის ტოპოგეგმა---------- 1 ფურც.
5. სამთო გამონამუშევრების ლითოლოგიური სვეტები---------- 3 ფურც.
6. მოედნის გეოლოგიური ჭრილი ---------- 2 ფურც.

პროექტით საკვლევ მოედანზე უნდა აშენდეს 14 სართულიანი საცხოვრებელი სახლი. კონსტრუქციულად შენობა გადაწყვეტილია რკინაბეტონის კარკასში, შევსება იქნება აგურით ან ბეტონის წვრილი ბლოკებით. რაც შეეხება საძირკველს, მისი კონსტრუქცია და ჩაღრმავება გადაწყდება მოედნის საინჟინრო გეოლოგიური პირობების გამოკვლევის შემდეგ.

მოედნის საინჟინრო გეოლოგიური პირობების დასადგენად, საკვლევ მოედანზე ავტომანქანაზე დამონტაჟებული საბურღი დაზგით გაყვანილი იქნა 2

ჭაბურღილი და ერთი შურფი, ჭაბურღილების სიგრძე შეადგენს 18 მეტრს, ხოლო შურფის 4.0 მეტრს. სამთო გამონამუშევრებიდან აღებული იქნა ნიმუშები გრუნტების თვისებების დასახასიათებლად.

ჩატარებული საველე და ლაბორატორიული სამუშაოების ანალიზის საფუძველზე, საკვლევ მოედანზე გეოლოგიურ ჭრილში გამოყოფილი იქნა გრუნტის შემდეგი ფენები:

1. ფენა 1 – ნაყარი გრუნტი;
2. ფენა 2 – ხრეში, ქვიშის შემავსებლით 30%-მდე;
3. ფენა 3 – ძირითადი ქანები – არგილითებისა და ქვიშაქვების მორიგეობა.

ანგარიშში მოკლედ არის მოცემული საკვლევი ტერიტორიის გეომორფოლოგიური, გეოლოგიური და ჰიდროგეოლოგიური პირობები. მოცემულია ზემოაღნიშნული ქანებიდან ხრეშისა (ნაყარი გრუნტი შენობის ფუძე-გრუნტებად არ გამოდგება და ამიტომ მისი თვისებები არ არის გამოკვლეული) და ძირითადი ქანების თვისებები. ხრეშის შემავსებელი ქვიშითაა წარმოდგენილი. რაც შეეხება ძირითად ქანებს, მათი წოლის ელემენტებია მიმართების აზიმუტი სამხ. დას. 340^0, ხოლო ქანების დახრის კუთხე $20\text{-}25^0$. მოცემულია აღნიშნული ქანების საანგარიშო მნიშვნელობები.

რაც შეეხება ტერიტორიის საინჟინრო გეოლოგიურ პირობებს, როგორც ავტორი აღნიშნავს, ტერიტორია მდგრადია და უარყოფითი საინჟინრო გეოლოგიური პროცესების განვითარება არაა მოსალოდნელი.

ტერიტორიის ჰიდროგეოლოგიური პირობების შესახებ აღნიშნულია, რომ გრუნტის წყალი გამოკვლეულ სიღრმემდე არ დაფიქსირებულა.

დ ა ს კ ვ ნ ა

ქ. თბილისში, ნოდარ ბოხუას ქ. №10, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობისათვის გამოყოფილ მიწის ნაკვეთზე (ს/კ 01.13.02.005.006) ჩატარებული საინჟინრო გეოლოგიური სამუშაოები, აკმაყოფილებს იმ მოთხოვნებს, რომლებიც მოცემულია საქართველოში მოქმედი სამშენებლო ნორმებით. ცალკეული შენიშვნები ჩვენს მიერ გამოთქმული სამუშაოების მიმართ, ავტორის მიერ მიღებული იქნა და ანგარიშში შეტანილია სათანადო კორექტივები. დასასრულს ავღნიშნავთ, რომ წარმოდგენილი ანგარიში იმსახურებს დადებით შეფასებას და შეიძლება დაედოს საფუძვლად მშენებლობის პროექტს საინჟინრო გეოლოგიურ ნაწილში.

საქართველოს დამსახურებული მშენებელი,
ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი /გ. ჭოხონელიძე/